

82-6  
598

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩელნაწერის უფლებით

პუშკარა ელეონორა

გაბრიელ გარსია გარემის XX საუკუნის  
80-90-იანი წლების აუგლიცისტიკის ზოგიერთი  
მიმართულება

10.01.10 – ურნალისტიკა

ვილოლობის მეცნიერებათა კადიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაკრძალად წარმოდგენილი დისერტაციის

ა მ ტ უ რ ე ვ ე რ ა ტ ი

თბილისი  
2006

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესის თეორიისა და პრაქტიკის  
კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტაბიძე ნოდარ,  
ფილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

- ოფიციალური ოპონენტები:
1. კაპანაძე გივი  
ფილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი (10.01.10)
  2. ქათამაძე ლიანა  
ფილოლოგის მეცნიერებათა  
კანდიდატი, დოკუმენტი (10.01.10)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის „3“ „ნუზა!“, „-----“ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის დარგის (P.10.10. №4)  
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1. დისერტაციის  
გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.  
ავტორეფერატი დაგზავნა 2006 წლის „4“ „ნუზა!“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

*6. ტაბიძე /*

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის არტუალობა. 1967 წელს გამოვიდა გაბრიელ გარსია  
მარქესის რომანი „მარტობის ასი წელი“. იმ დღიდან დაიწყო ამ რო-  
მანის ტრიუმფალური ბიოგრაფია, რომელიც 1982 წელს ნობელის  
პრემიით დაჯილდოვდა, ხოლო ავტორი XX საუკუნის უდიდეს მწერ-  
ლად იქცა. არც „მარტობის ასი წელი“ და არც აღიარება ცარიელ  
ადგილას არ აღმოცენებულა. მას წინ უდიდესი შრომა უძლოდა და,  
ალბათ, ცოტა ვინმეტ თუ იცის, რომ ყოველივე ეს უურნალკისტიკაში  
მოღვაწეობით დაიწყო. თავად გარსია მარქესი იხსენებს: „... 19 წლი-  
სამ სამართლის ფაკულტეტის მაჩანჩალა სტუდენტმა დავიწყე უურნა-  
ლისტური საქმიანობა როგორც სარედაქციო სევტის რედაქტორმა და  
ნელ-ნელა, დიდი შრომის ფასად მივუყებოლი კარიერის საფეხურებს  
სხვადასხვა განყოფილებაში, სანამ არ მივაღწიე უზადო რეპორტიორის  
უმაღლეს საფეხურს.“ ასეთი იყო დასაწყისი. იმავდროულად გარსია  
მარქესი ლიტერატურაშიც სინჯავდა ძალებს პატარ-პატარა მოთხო-  
ბების სახით. მას შემდეგ თითქმის სამოცი წელი გავიდა, წერილში  
„გასართობი სოფიზმები“ გარსია მარქესი აჯამებს საკუთარ ნამოღვა-  
წარს: „... დაწერილი მაქვს ცხრა რომანი, 38 მოთხოვობა, ორი ათასზე  
მეტი საგაზეთო წერილი და, ღმერთმა უწყის, რამდენი რეპორტაჟი,  
ქრონიკა და კინოსცენარი. მოწოდებითაც და შესაძლებლობებითაც  
წმინდა წყლის მთხოვნელი ვარ“.

ურთიერთობა მედიასთან გაბრიელ გარსია მარქესის არასოდეს გა-  
უწყეტისა. ყოველი ეპოქის დიდი მწერლის პუბლიცისტური მოღვაწე-  
ობა ფრიად საყურადღებო მრავალი ფაქტორის გამო. ნობელის პრემიის  
ლაურეატის გაბრიელ გარსია მარქესის ჯერ კადევ სათანადოდ  
შეუსწავლელი პუბლიცისტიკის განხილვა საშუალებას მოგეცემს წარ-  
მოვაჩინოთ გარსია მარქესის შემოქმედების ძალზე სინაურეს მოვაწოდეთ.

განსახილველი - XX საუკუნის 80-იანი წლების  
შემთხვევით არ არის არჩეული: გარსია მარქესი ნობელისტია  
მისი შემოქმედება უკვე ასაკის, გამოცდილების „... ადამიანის გამო-  
თავდაჯერებული და დაბრძენებული ადამიანის ნობელისტია“ გარსია

